



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეგიონული კვლევების პროგრამა

ირანის ბირთვული პოლიტიკა და გეოპოლიტიკური ინტერესები

(სამაგისტრო ნაშრომი)

სტუდენტი:

შალვა მეგრელიშვილი

ხელმძღვანელი:

გიორგი გვალია

თბილისი

2011

გიორგი გვალია –

ასისტენტ პროფესორი,
კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლა,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარჩევი

აბსტრაქტი	3
1 შესავალი	3
1.2 კვლევის მიზანი	5
1.3 კვლევის კითხვა	5
1.4 კვლევის ჰიპოთეზა	5
1.5 კვლევის მეთოდოლოგია	5
1.6 ლიტერატურის მიმოხილვა	6
2 ირანის ბირთვული პროგრამა	7
2.1 ბირთვული იარაღი	7
2.1.1 ბირთვული პოლიტიკა	8
2.1.2 ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულება	8
2.1.3 1979 წლის რევოლუცია და ირან-ერაყის ომი	11
2.1.4 ირანის განახლებული ბირთვული პროგრამა	12
3 ირანის ბირთვული პოლიტიკა	19
3.1 ირანის გეოპოლიტიკური მდგომარეობა	19
3.1.2 ირანის ინტერესები	20
3.1.3 დასავლეთის ინტერესები	23
3.1.4 ირანის ბირთვული ენერგიის გეოპოლიტიკური შედეგები	25
3.1.5 ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება	25
3.2 ბირთვული იარაღი და ძალთა ბალანსის შეცვლა ახლოაღმოსავლეთში	27
3.2.1 თურქეთი	28
3.2.2 არაბული ქვეყნები	30
3.2.3 საუდის არაბეთი	30
3.2.4 სირია	31
3.2.5 ეგვიპტე	32
3.2.6 სხვა ქვეყნები	32
3.2.7 ამერიკის შეერთებული შტატები	34
3.2.8 ირან-ისრაელის ურთიერთობა	34
3.2.9 რუსეთ-ირანის ურთიერთობა	35
4 გავრცელების უსაფრთხოების ინიციატივა	39
4.1 PSI - ს გამოყენება სხვადასხვა სცენარით	41
4.2 PSI - ს გამოყენება ირანისა და ჩრ.კორეის მიმართ	43
5 სამხედრო მოდერნიზაცია და ბირთვული ობიექტები	54
5.1 ბალისტიკური რაკეტები	54
5.2 ირანის ძირითადი ბირთვული ობიექტები	55
6 დასკვნა	57
ბიბლიოგრაფია	59
დანართები	61

აბსტრაქტი

საერთაშორისო პოლიტიკაში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს ირანის თემაა, ომი ირანის წინააღმდეგ რეალურია და ომის შემთხვევაში ის ძალიან დიდ გავლენას მოახდენს, როგორც რეგიონზე ისე დანარჩენ მსოფლიოზე. ირანის ისლამურ რესპუბლიკა ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა დასავლეთისა და შუა აღმოსავლეთის ურთიერთობებში. ძალთა ბალანსი შუა აღმოსავლეთში არის უაღრესად დელიკატური საკითხი, რაზეც დასავლეთის სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად ვერ აჩვენებენ საკმარის ძალისხმევას გაუმკლავდნენ ასეთ რთულ და ბევრ ასპექტში არაპროგნოზირებად სისტემას. ისტორიული მაგალითებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას თუ რატომ ცდლილობდნენ დასავლეთის ქვეყნები თავიანთი გავლენის გავრცელებას ირანზე. ირანს აქვს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომლის სტრატეგიული მდებარეობა უდავოა. დასავლეთის ქვეყნები, ყოველთვის იჩენდნენ დიდ ინტერესს ირანის ბუნებრივი რესურსების მიმართ, ბოლო რამდენიმე წელია ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან გლობალური ეკონომიკური ეფექტები დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების სწორად მართვასთან. დასავლეთი საფრთხედ აღიქვას ირანის ბირთვულ პროგრამას, რომელიც შეუქცევად პროცესს წარმოადგენს და მოიცავს ბალისტიკურ რაკეტების მოდერნიზებასა და მათი სამომავლო განვითარების პროექტებს. თუმცა, ბირთვული პროგრამა კვლავ რჩება ირანისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესთა გადაკვეთის წერტილად და არც ერთი მხარე არ აპირებს უკან დახევას.

1 შესავალი

ირანის ბირთვულ პროგრამას მრავალ წლიანი ისტორია აქვს და მთელი ამ წლების მანძილზე სახელმწიფოს მეთაურები აცხადებდნენ, რომ ბირთვული ექსპერიმენტები მხოლოდ სამშვიდობო მიზნებს ისახავდა და მოემსახურებოდა მედიცინის, ენერგეტიკისა და მრეწველობის განვითარებას. თუმცა რეგიონში